



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 12



2011 წლის 28 იანვარი

ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №139 განკარგულებით დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2011 წლის მუნიციპალურ პროგრამაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №139 განკარგულებით დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2011 წლის მუნიციპალურ პროგრამაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატებები:

1. პროგრამის პირველი მუხლის მე-3 პუნქტში რიცხვი „98 000“ შეიცვალოს რიცხვით „93 914“.
2. პროგრამის პირველ მუხლს დაემატოს მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტები შემდეგი რედაქციით:
 - „4. პროგრამას (გარდა მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა) ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“ – მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტიდან სუბსიდირების (სავარაუდო მოცულობა – 83 000 ლარი) გზით.
 5. პროგრამის მე – 3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები (სავარაუდო მოცულობით შესაბამისად 6 400 ლარი და 4 514 ლარი) ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით.
 6. პროგრამის განხორციელებაზე ზედამხედველობას აწესებს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.“
3. ეს განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდგომ რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
2011 წლის მუნიციპალური პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2011 წლის პროგრამა შემუშავებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 და 22-ე მუხლების, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად. მისი მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, მოსახლეობის ინფორმირება;
2. პროგრამა ფინანსდება მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან – მუნიციპალური პროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში;
3. პროგრამის დაფინანსების სავარაუდო მოცულობა **93 914** ლარს შეადგენს;
4. პროგრამას (გარდა მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა) ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“ – მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტიდან სუბსიდირების (სავარაუდო მოცულობა – 83 000 ლარი) გზით;
5. პროგრამის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები (სავარაუდო მოცულობით შესაბამისად 6 400 ლარი და 4 514 ლარი) ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით;
6. პროგრამის განხორციელებაზე ზედამხედველობას აწესებს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

მუხლი 2. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა

1. საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
2. საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიების განხორციელების ხელშეწყობა;
3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

მუხლი 3. პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებები

1. პრევენციული და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;
2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევების ხელშეწყობა;

3. გადამდებ დაავადებათა გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოების ჯანმრთელობას (მ.შ. მაწანაწალა ძაღლების შეგროვება, გამრავლების რეგულაცია თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, საჭიროების შემთხვევაში – ევთანაზია);
4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების პრევენციის მიზნით დერატიზაციისა, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება და კონტროლი;
5. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის მოწოდებული მასალების მიღების, შენახვის და განაწილების უზრუნველყოფა.

მუხლი 4. მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ღონისძიებები

1. მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში სეზონურად ქუჩების, სკვერების, სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიების სანიტარული მდგომარეობის მასობრივი დათვალიერების ორგანიზება;
2. ქალაქის ნაგავსაყრელისა და ნაგვის შესაგროვებელი კონტეინერების სანიტარულ ნორმებთან შესაბამისობაზე სისტემატური კონტროლის დაწესება, საჭიროების შემთხვევაში დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის სამუშაოთა ორგანიზება.

მუხლი 5. მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობის ღონისძიებები

1. მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარდეს მასობრივი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები სპეციალური პროგრამის შესაბამისად. მასში ყველა ჯგუფისა და ასაკის მოსახლეობის ფართოდ მონაწილეობის სტიმულირების მიზნით დაწესდეს წამახალისებელი პრიზები და ჯილდოები;
2. თამბაქოს, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტუბერკულოზის, შიდსის პროფილაქტიკის მიზნით, მოსახლეობაში სანგანათლების ღონისძიებების ჩატარება (შესაბამის კონტიგენტთან ლექციების, საუბრების ჩატარება, საგაზეთო სტატიების გამოქვეყნება, ადგილობრივი ტელეგადაცემების ორგანიზება. ამ საკითხებზე თვალსაჩინოების საშუალებებისა და სპეციალური ლიტერატურის გავრცელება).